საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/42

11 თებერვალი, 2022 წელი ქ. ბათუმი

2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან ბსუ-ში გადმოსვლის (გარე მობილობა) ვადების განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 25 იანვრის №01-02/12 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ემუხლის პირველი პუნქტის, ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების (ამავე ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 26 მარტის №07/ნ ბრძანების), ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" მე-10 მუხლის, ,,კრედიტების აღიარებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ბსუ-ს სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №55 დადგენილების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობის (შიდა მობილობის) ადმინისტრირების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 3 თებერვლის №01-02/16 ბრძანების, ,,2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის ერთი დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში გადასვლის (მობილობის) პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ" სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2022 წლის 11 იანვრის № 1.1/1 ბრძანების, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უმაღლესი განათლების პროექტის მართვის მენეჯერის წერილის (MES 8 22 0000019513წ, 13/01/2022წ), 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხული სემესტრისათვის ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობის/შიდა მობილობის კონტიგენტის განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 20 იანვრის N06-01/01 დადგენილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან ბსუ-ში გადმოსვლის (გარე მობილობა) ვადების განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 25 იანვრის №01-02/12 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) დოკუმენტაციის მიღება 2022 წლის 10,11 და 14 თებერვლის ჩათვლით". თებერვალი.

2. დაევალოს ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტს 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან ბსუ-ში გადმოსვლის (გარე მობილობა) გამოცხადების შესახებ ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებულ ინფორმაციაში ცვლილების შეტანის შესახებ განცხადების ტექსტის მომზადება და ბსუ-ს ვებგვერდის ადმინისტრირების წესის შესაბამისად წარდგენა.
3. ბრძანება საჯარო გამოცხადებისათვის განთავსდეს ბსუ-ს პორტალზე და ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (ა.ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს ფაკულტეტებს (დეკანს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, დარგობრივი დეპარტამენტების ხელმძღვანელებს, დეკანის ოფისს), სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარიას), სამეცნიერო კვლევების სამსახურს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
5. ბრძანება ძალაში შევიდეს საჯაროდ გამოქვეყნებისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30), მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში, კანონით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი, პროფესორი **მ. ხალვაში**